დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე – წერილი ევროპელ თანატოლს

მოამზადა:ლიზი ლოლუა

ასაკი:16 წლის

კლასი:მე-10 კლასი

სკოლა:N 15 საჯარო სკოლა

ძვირფასო მეგობარო,მინდა მოგესალმო საქართველოდან – პატარა, მაგრამ ძლიერი სულის მქონე ქვეყნიდან, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში არაერთი ბრძოლა გადაიტანა საკუთარი სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლებისთვის. მე ვარ თინეიჯერი, რომელიც დაიბადა და იზრდება უკვე დამოუკიდებელ საქართველოში – ქვეყანაში, რომელიც ყოველდღიურად იბრძვის არა მხოლოდ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის, არამედ ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ სავალ გზაზე წინსვლისთვის.საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წელს გამოაცხადა, თუმცა ეს მხოლოდ ფურცელზე დაწერილი თავისუფლება იყო – სინამდვილეში, რთული გზა გვქონდა გასავლელი. მაშინდელმა დამოუკიდებლობამ არ მოიტანა დაუყოვნებელი სიმშვიდე: ქვეყანამ გამოიარა სამოქალაქო ომი, დაკარგა ტერიტორიების ნაწილი, ხალხი გაჭირვებაში ცხოვრობდა. მაგრამ ამ ყველაფრის ფონზე შეინარჩუნა მთავარი – ოცნება თავისუფლებაზე და იმედი უკეთესი მომავლისა.ჩემი თაობისთვის დამოუკიდებლობა უკვე მიღებული რეალობაა, თუმცა თავისუფლება – ჯერ კიდევ პროცესია. ჩვენ დღეს ვსწავლობთ კრიტიკულად ფიქრს, გვაწუხებს უსამართლობა, ვგმობთ ძალადობას, ვუსმენთ ერთმანეთის აზრს და ვცდილობთ, უკეთეს საზოგადოებად ვიქცეთ. თავისუფლება ჩვენთვის ნიშნავს მეტს, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მიღებული სტატუსი – ეს არის შინაგანი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი სულიერად თავისუფალია, აქვს არჩევანის უფლება და ზუსტად იცის, რომ მისი ხვალინდელი დღე მასზეა დამოკიდებული.საქართველო ყოველდღიურად უფრო მეტად უახლოვდება ევროპულ ღირებულებებს – დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, განათლებაზე ხელმისაწვდომობას და ადამიანის უფლებათა პატივისცემას. სკოლებში ხშირად ვსაუბრობთ ევროპულ ინიციატივებზე,

ვმონაწილეობთ გაცვლით პროგრამებში და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ვხედავთ ამ კავშირების გაღრმავებას. თუმცა ჯერ კიდევ არის გზები, რომელიც ბოლომდე არ გაგვივლია: კრიტიკული აზროვნების დეფიციტი, სიღარიბე და ახალგაზრდების მიგრაცია ჩვენი დროის სერიოზული გამოწვევებია.ამ გზაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იმედი სწორედ ჩვენი ევროპელი თანატოლების გაგებაა. სწორედ თქვენთან ურთიერთობით, თქვენი გამოცდილების გაზიარებით და ჩვენი ამბის მოსმენით ვიღებთ იმ სტიმულს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ცვლილებებს აჩქარებს. მინდა, რომ იცოდე – საქართველოში უამრავი ახალგაზრდაა, ვინც ოცნებობს განათლებულ, მშვიდ და თავისუფალ საზოგადოებაზე და ყოველდღიურად, პატარა ნაბიჯებით, ცდილობს ეს რეალობად აქციოს.გთხოვ, გაუზიარე შენს მეგობრებს ჩვენი ისტორია – ქვეყანა, რომელიც თაობიდან თაობას გადასცემს ღირსების, მოთმინებისა და პროგრესის ძალას.სითბოთი და იმედით,

ლიზი ლოლუა

From Independence to Freedom – A Letter to My European Peer

Dear friend,I want to greet you from Georgia – a small country with a great spirit, which has endured centuries of struggle to preserve its identity and fight for freedom. I am a teenager growing up in an independent Georgia – a country that continues to walk the path not only toward preserving its independence but toward achieving true freedom.Georgia declared its independence in 1991, but that was only the beginning. True freedom wasn’t gained instantly – instead, we faced civil wars, economic collapse, and the loss of territories. Yet, throughout these hardships, Georgians held on to one vital thing: hope. The dream of living in a free, just, and peaceful country never faded.For my generation, independence is already part of our reality, but freedom remains a journey. Today, we are taught to think critically, to care about justice, to speak out against violence, and to listen to each other. Freedom, to us, is more than political status — it's about being able to make choices, express ourselves without fear, and feel responsible for our own future.Georgia is moving closer to European values every day – democracy, rule of law, education, and respect for human rights are becoming pillars of our development. At school, we talk about European initiatives, we participate in exchange

programs, and we witness growing cultural and educational ties. Still, challenges remain: lack of critical thinking, economic hardship, and youth migration are some of the serious issues we face.That's why connecting with peers like you is so important to us. Your understanding, your stories, and your support inspire us to keep moving forward. I want you to know — there are many young people in Georgia who dream of building an educated, free, and peaceful society, and who work every day, step by step, to make that dream come true.Please share our story with your friends – about a country that continues to pass on the spirit of dignity, patience, and progress from generation to generation.With warmth and hope,

Lizi Lolua